სახალხო გაზეთი

№ 386 პარასკევი, 26 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 386

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. я щ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპოგათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

დ. ყვირილაში

„ორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე" აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვს წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკად

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

უფროსი ზედამხედველი პირველ ნაწილისა ვლადიმერი მეუღლითურთ და ალექსანდრე დიმიტრის ძენი უგულავები, ევგენია და თევდორე ნიკოლაიშვილები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის ოთხის ძვირფას დედისა და უკანასკნელის სიდედრის

სოფიო ნიკოლოზის ასულის უგულავასა.

პანაშვიდი 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 27-ს აგვისტოს დილის 9 საათზე წყნეთის ქუჩიდან, № 6 კალოუბნის ეკლესიაში. იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.783 1)

ვეტცელის თეატრი

№ 1.

მიხეილოვის ქუჩა, № 113.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

შაბათს, 27 აგვისტოს, ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მიერ **ა. გრიშაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის ცნობილი 4 მოქ. მელ. კომედია

ციმბირელი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დილის 10—2 ს., საღამოს 5—9 ს. ადგილების ფასი 10 კ. 60 კ. **დასაწყისი სად. 8 ნახ. საათ.**

რეჟისორი სალთხაია, გამგე ლ. ადამიძე, მორიგე წევრი პ. მარზაშვილი (1—782—1)

ტფილისის მოქალაქენო!

ოც აგვისტოს გამოქვეყნდა ქალაქის ამომრჩეველთა სიები. ამ სიების შესწორება შეიძლება

მხოლოდ 3 სექტემბრამდე.

ამიტომ, გაშინჯეთ სიები და ვინც იქ მოხსენებული არა ხართ, **დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ** ქალაქის გამგეობას **სიების შევსება** და შესწორება. **ვინც 3 სექტემბრამდე** სიის შესწორებას არ მოითხოვს, არჩევნებში მონაწილეობის **უფლებას საბოლოოდ დაჰკარგავს.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დაგითაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ს. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს,

ხოშთალევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—546)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—125)

10 ენკენისთვემდე მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის

მე-3 წიგნზე

„ნააზრევი"

ხელის მოწერით ღირს 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.

შინაარსი: წინასიტყვაობა. **ხელოვნება:** 1. ურწმუნო მწერლებ, 2. სიტყვაკაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო), 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. **რელიგია ფილოსოფია:** 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მეგობრები), 3. ქალის ხვედა, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყნათა ხელშეხება") ეს უკანასკნელი, ახალი წერილია.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში; ბათუმში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზღრავასთან; გორში: სოლ. კოშნამეხთან; თელავში; ი. პაატაშვილთან. (0—6)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდას ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის,

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს,

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

მ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ, სნეულ. 11—11½.

მ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს,

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს,

გ. ვ. ხოშთალევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წთ.—1090—148)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი კარაპეტოვისა.

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—17)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—6)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—92)

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

ქუთაისში.

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—49)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (—123)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—12

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—48)

ნაფიცი ვექილი

კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძე

გადავიდა ოლღას ქუჩაზე, დოვლათოვის სახლში, № 41. (3.1466.1)

ქართველ ამომრჩეველთა საყურადღებოდ

დღეს, პარასკევს, საღამოს 8 საათზე, ზუბალაშვილის სახ. სახლში დანიშნულია **მეხუთე უბნის** ქართველ ამომრჩეველთა კრება.

ხვალზევით, კვირას, დილის 11 საათზე, დანიშნულია კრება სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი) მეორე უბნის ქართველ ამომრჩეველთა. (1—1)

ტფილისი, 26 აგვისტო

წვრილ კრედიტის განვითარებისთვის ტფილისის გუბერნიაში უკვე ოცამდე წვრილი კრედიტის ამხანაგობა მოქმედობს. განზრახულია კიდევ რამდენისამე ამხანაგობის დაარსება, ასე რომ ახლო მომავალში ამხანაგობათა რიცხვი ორმოცდა ათამდე აიწევს. ქუთაისის გუბერნიაში ამავე ტიპის ამხანაგობათა რიცხვი კიდევ უფრო მეტია. თავის დროზე, როდესაც წვრილი კრედიტის ამხანაგობა ჩვენი ქვეყნისთვის უცხო და უცნობი ხილი იყო, ჩვენ მედგრად ვურჩევდით სოფელს და სოფლის ინტელიგენციას ამ ამხანაგობათა დაარსებას. რა თქმა უნდა, საქართველოში ჯერ კიდევ მრავალი ისეთი მივარდნილი კუთხეა, სადაც აქამომდე ჯერ არავის მოსვლია აზრად საკრედიტო ამხანაგობის დაარსება. მაგრამ მაინც შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ მალე მთელი ჩვენი ქვეყანა გაებმის ამ ამხანაგობათა ქსელში, თუ კი აწ არსებული ამხანაგობანი საქმის წესიერ და რიგიან წარმოებით წვრილი კრედიტის დაწესებულებებს სახელს არ გაუტეხენ.

იმ ცნობებითვე, რომლებსაც იძლევიან სოფლებიდან კორესპონდენტები, საკრედიტო ამხანაგობათა განკარგულებაში მხოლოდ ის თანხა იმყოფება, რასაც მათ სახელმწიფო ბანკი აძლევს. ეს თანხა კი ჩვეულებრივ რამდენისამე ას თუმანს არ აღემატება. საკრედიტო ამხანაგობის გახსნის უმალვე მთელი ეს თანხა ნაწილდება სესხად გასაცემად მსურველებზე, ამხანაგობის კასა კი ცარიელდება და რამდენისამე თვის განმავლობაში, ვიდრე სესხი უკან დაბრუნდება, იყინება და ფაქტიურად თავის მოქმედებას აჩერებს. ამ გვარად, საკრედიტო ამხანაგობის მოქმედება თითქოს ერთდროულ დახმარების ხასიათს იღებს. თუმც ამ გვარ ერთდროულ დახმარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მშრომელ ხალხისათვის, მაგრამ საკრედიტო ამხანაგობის საკეთილდღეო გავლენა გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა. იმის კასსას რომ შეუჩერებელი მოქმედება შეეძლოს. რა თქმა უნდა, ასეთ მოქმედებისთვის საჭიროა საკრედიტო ამხანაგობათა კასაში კიდევ სხვა რამ თანხების მიზიდვა გარდა სახელმწიფო ბანკის სესხისა. სხვა ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ საკრედიტო ამხანაგობათა კასაში დიდძალი ფული შეიძლება მოგროვდეს, თუ საქმე ისე იქმნა დაყენებული, რომ მათ ნდობის თვალით უცქეროდეს ის ხალხი, რომელიც ჩვეულებრივ სხვა და სხვა კომერციულ და საურთიერთო ნდობის ბანკებში ინახავს თავის თავისუფალ ფულს. კავკასიის თითოეულ გუბერნიაში რამდენიმე მილიონი მანეთი თავისუფალი ფული ინახება მაგალითად სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასსაში. ეს ფული შესდგება პატარ-პატარა თანხებისაგან, რომელსაც ჩვეულებრივ წვრილი ბურჟუაზია აგროვებს და ინახავს გაჭირებისთვის. ჩვენის აზრით, წვრილი კრედიტის ამხანაგობათა ინტერესი მოითხოვს, ეს თანხები მათს კასსებში ინახებოდეს და არა სხვაგან სადმე. თუ ამ შენახულმა ფულმა ადგილი ინაცვლა და საკრედიტო ამხანაგობათა კასებში გადავიდა, რა თქმა უნდა სოფლის მცხოვრებლებზე გაიცემა სესხად და ხელს შეუწყობს სოფლად შრომის განაყოფიერებას. მაშასადამე, ადგილობრივ ინტერესების თვალსაზრისით სასურველად უნდა მივაჩნდეს საკრედიტო ამხანაგობათა ისეთი ორგანიზაცია, რომ მათ იმ ხალხის ნდობა დაიმსახურონ, ვისაც ბანკებში შესანახი ფული აქვს.

ჩვენის ფიქრით, ამ ნდობის მოსახვეჭად საჭიროა წვრილი კრედიტის ამხანაგობათა შეკავშირება, ე. ი. მათი შეერთება ერთს კავშირად. თუ ეს კავშირი განხორციელდა, საკრედიტო ამხანაგობათა საურთიერთო პასუხისმგებლობის ნიადაგზე, იგი იმდენად ღონიერი და სანდო დაწესებულება იქნება, რომ ფულის პატრონი თამამად გაჰბედავს თავისი ფული იმის კასსას მიაბაროს შესანახად. ამხანაგობათა კავშირი გაიჩენს თავის საკუთარ კასსას, რომელიც ცენტრალურ კასსის როლს ითამაშებს. ამხანაგობათა კავშირს საკმაო ღონის-ძიება ექნება, საჭიროების დროს იაფასიანი კრედიტი გაუხსნას თითოეულ ამხანაგობას და ფული სწორედ იქ გადიტანოს, სადაც ამას ეკონომიური საჭიროება მოითხოვს. კავშირის კასსას ფულის საშოვნელად მრავალი სხვა საშუალებაც ექნება, მაგრამ აქ მათ ჩამოთვლას არ გამოვუდგებით.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ. საკრედიტო ამხანაგობათა ნაყოფიერ მოქმედებისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მათი დაახლოვება ერთმანეთთან. ეს დაახლოვება თითოეულ ამხანაგობის გამოცდილებას საერთო გამოცდილებად აქცევს, თითოეულ ამხანაგობის საჭიროებას საერთო საჭიროებად. რაც უფრო მტკიცე საქმიანი ურთიერთობა დამყარდება წვრილ კრედიტის ამხანაგობათა შორის, მით უფრო წარმატებით იმოქმედებს თითოეული მათგანი, მით უფრო ნაყოფიერ გავლენას იქონიებს სასოფლო მეურნეობაზე.

წვრილი კრედიტის დებულება 1904 წლისა არ უკრძალავს საკრედიტო ამხანაგობებს კავშირის დაარსებას. ეს დებულება თხოულობს მხოლოდ, რომ კავშირის დასაარსებლად ნებართვა იქნას მიღებული ფინანსთა მინისტრისაგან. ჩვენის შეხედულებით, აწ არსებულ საკრედიტო ამხანაგობათა მოღვაწეებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ეს საკითხი კავშირის დაარსების შესახებ, მოელაპარაკონ ერთმანეთს, შეთანხმდნენ და შემდეგ სათანადო შუამდგომლობა აღძრან მინისტრის წინაშე. სადაც საერობო თვით-მართველობაა შემოღებული, იქ კავშირის მაგიერობას ჩვეულებრივ საერობო წვრილი კრედიტის კასსა ასრულებს; იქ კავშირის დაარსება მაგრე რიგად საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენში კი ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ადგილობრივი პრესა

ქუთათური გაზეთი „მნათობი" სასტიკად გვისაყვედურებს, რატომ მოუწოდებთ ქართველ ამომრჩევლებს საქალაქო არჩევნებში მონაწილეობისთვისაო". „მნათობი" ფიქრობს, ბურჟუაბურჟუაო, და აშიტომ ჭკუას გვასწავლის: ქალაქის თვითმართველობაში გაბატონებულ სომეხ შოვინისტების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭიროა, მაგრამ არა იმ გვარი, რომელსაც თქვენ უთითებთ, არამედ სულ სხვაო. ალბად „მნათობს" პროლეტარების და არა ქართველების შეერთება და შეკავშირება სწადიან საარჩევნო ბრძოლისთვის. საუცხოვო აზრია! ერთი ეს არის მხოლოდ, რომ „მნათობი" ჰმალავს და არ გვიმხელს, სად არიან ეს „პროლეტარები", რომელთაც ტფილისში უძრავი ქონება აქვთ ან დიდრონი სავაჭრო დაწესებულებები ეკუთვნით. ამისოდ ხომ საქალაქო არჩევნებში ვერავინ მონაწილეობას ვერ მიიღებს ეხლანდელ საარჩევნო წესის ძალით! ალბად „მნათობს" ტფილისში სწორედ ასეთი შეძლებული პროლეტარები ეგულება, თორემ როგორ გაიფიქრებდა იმას, რასაც ფიქრობს.

„მნათობისებურ" ჟურნალისტებს ჩვენ და ჩვენი მკითხველი კარგად ვიცნობთ. ჩვენ რომ თეთრი და შავი დაუპირისპიროთ ერთმანეთს, ისინი მაშინვე ყელში გვწვდებიან, ეს რა საკადრისია, თეთრი და შავი ორივე ბურჟუობაა, თქვენ ბურჟუაზიულად აზროვნობთ, ერთად-ერთი სწორი აზროვნება მხოლოდ პროლეტარებს და ბურჟუებს დაუპირისპირებს ერთმანეთსო... რა ქნან, მართლმორწმუნეობის სახარებაში ასე სწერია. მართლმორწმუნეთა უზენაესი არგუმენტი კი ყოველთვის ერთი და იგივეა: credo, quia absurdum. ამ მართლმორწმუნე ჟურნალისტებთან კამათს თავისთავად არავითარი ფასი აქვს, ეს კი მაინც დავიხსომოთ, რომ იმათი გაზეთი წინააღმდეგია ქალაქის არჩევნებში ქართველ ამომრჩევლების მონაწილეობისა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფილისის გუბერნატორის დადგენილებით** 18 აგვისტოდან, სავალდებულო წესების დარღვევისათვის დააჯარიმეს: კონსტანტინე დავიდოვი—50 მან., შ. ვახვახიშვილი—25 მან., ირინა კავალიოვა და მიხეილ შარინი თითო—10 მან. პურის ძვირად გაყიდვისათვის: ილია მიქიაშვილი, ერასტი ბუხრაშვილი,

საჩინო გიორგობიანი, ნესტორ ქლაიძე და გალუსტ მაკოჯელიძე თითო 25 მანეთით. პეტრე ჯულარდი 25 მანეთით, ნერსეს აბრამიანი 25 მან.

◆ **ქალაქის გამგეობის საგანგებო კომისიამ**, ა. ს. ბაზოვის თავმჯდომარეობით, ქალაქის „გაზით“ განათების ახალი წესები შეიმუშავა.

◆ **ამ ჟამად ტფილისში** ცნობილი აკადემიკოსი მხატვარი-მოქანდაკე **ბერენშტამი იმყოფება**. გუშინწინ ბ. ბერენშტამი ქალაქის მოურავს ა. ხატისოვს ეწვია და ქალაქის მოურავად ნამყოფ ა. ს. მატინოვის ძეგლის გეგმა გააცნო. ხატისოვმა სთხოვა ქალაქის მუზეუმისათვის ტფილისის სანახაობათა პირი გადაიღოს, მოგზაურ ჩერნეცოვის სურათებიდან, რომელიც ოცდა ათიან წლებშია დახატულიო.

◆ გუშინ წინ პოლიციელებმა და დამცველ განყოფილების აგენტებმა სომხის ცნობილი მწერლის აკოფ აკოფიანის ბინა გასჩხრიკეს. საეჭვო ვერაფერი უნახეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის გამგეობის დარბაზში**, გუშინ სამხედრო საკრებულოს კრება შესდგა, სადაც ჯარში გასაწვევი ახალგაზდები შეამოწმეს, რომელნიც წინა წლებში იყვნენ გაწვეულნი და სხვა და სხვა მიზეზების გამო არ წაიყვანეს.

◆ **საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო** საზოგადოების საბჭოს წევრები, რომელნიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მოგზაურობდნენ საარქეოლოგიო მიზნით ტფილისს დაბრუნდნენ. ეხლა შეკრებილი მასალების წესრიგში მოყვანას შეუდგნენ და მახლობელ კრებაზე თავის შთაბეჭდილებას წევრებს გაუზიარებს.

◆ **განსვენებულ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** ძეგლი 800 მანეთზე მეტი ჯდება. ძეგლს მექანდაკე ანდრეოლეტი აკეთებს.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობაში.** წინამძღვარიანთ სკოლის გამგემ ბ. მალალაშვილმა და მასწავლებელმა კ. ნაკაშიძემ თხოვნა შეიტანეს, რომ საგურამოს ილიასეული მამული იჯარით მათ გადაეცეს. ისინი ამ მამულში აპირებენ მეურნეობის მოწყობას, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას. აგრეთვე 10 კაცისათვის სამეურნეო კურსებსაც მოაწყობენ.

ქუთაისი

◆ ქუთაისში წვიმიანი დღეებია და საგრძნობლად აგრილდა.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან** ცირკულიარული მოწერილობა მოსვლია ბ. გუბერნატორს, რათა 20 ოკტომბრამდე წარუდგინოს ზოგიერთი ცნობა ქალაქის უძრავ მამულების შეფასებისა. ამგვარი მოწერილობა დაუგზავნია სხვა ქალაქების გუბერნატორებისთვისაც. ასეთი განკარგულება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ბევრ ქალაქის თვითმართველობას ქალაქის უძრავი მამულები ძლიერ მცირედ შეუფასებია, რის გამო შესაფასებელ გადასახადის რაოდენობაც ძლიერ მცირეაო, ქალაქის თვითმართველობის მიერ მოხდენილი შეფასება რომ შევადაროთ ფინანსთა სამინისტროს მიერ 1905—1906 წლებში მოხდენილ შეფასებას, დავინახავთო—სწერია მოწერილობაში,—რომ პირველი 7-8-ჯერ და თითქმის ათჯერაც ნაკლებია მეორეზეო; საზოგადოდ შესაფასებელი გადასახადის რაოდენობა არ აღემატება ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ მამულების შემოსავლის 6%-ის. ქალაქის თვითმართველობას კი უფლება აქვს დააწესოს თავის სასარგებლოდ წმინდა შემოსავლის 10%. ბ. გუბერნატორი თავის მხრივ წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, ეს ცნობები წარუდგინოს მას ორ ცალად სექტემბრის პირველ რიცხვებამდე.

◆ **შავი ქვის საბჭომ** ამ დღეებში ნებართვა მიიღო თავის ხარჯით სოფელ მღვიმევში სკოლა გახსნას.

◆ ამავე საბჭომ კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან მიიღო სამთო სკოლის დამტკიცებული წესდება. წესდების მე—5 მუხლის ძალით, სხვათაშორის ნებართვა ეძლევა ამ სამთო სკოლასთან მუშებისათვის და მათი ნათესავებისათვის საღამოს კურსები მოაწყონ. საღამოს კურსებზე მსმენელებს ქართულად წაუკითხავენ ლექციებს იმ საგნებიდან, რომელთაც სამთო სკოლაში ასწავლიან, სკოლის ზედამხედველის ადგილს ბევრი თხოულობს. კანდიდატთა შორის ასახელებენ ინჟინერ ა. კობახიძეს.

◆ **სოფელ. ტობანიერიდან**. (ქუთაისის მაზრა) გვწერენ: ოც აგვისტოს დილის ცხრა საათზე პატარა **მდინარე ყუმურა ადიდდა**. ნაპირები გადმოხეთქა. დიდი და პატარა შიშმა მოიცვა სახლებში ერთ ადლის სიმაღლეზე წყალი სდგას. ადამიანის ყვირილი, საქონლის ბღავილი, ქყივილი, ჩხავილი ერთმანეთში ირევა, ბევრი შინაური ოთხფეხი და ფრინველი დაიხრჩო. ამ ყოფაში ვიყავით ორ საათ. წყალმა იკლო ვითომ, მაგრამ ერთი საათის შემდეგ, კიდევ მოვარდა მეტის მძვინვარებით. ხალხი სახურავებზე შედგა. კიდევ ასხამს კოკის პირულად... რა მოგველის არ ვიცით...

◆ **ქალაქის გამგეობას** მოუვიდა ბ. გუბერნატორისაგან ოფიციალური ცნობა, რომ ნამესტნიკის მოადგილეს შესაძლებლად ვერ უცვნია დაემტკიცებინა ხმოსანი გ. ფ. ზდანოვიჩი საბჭოს წარმომადგენელ წევრად საქალაქო საქმეთა საკრებულოში. ამიტომ ბ. გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, დაუყონებლივ მოახდინოს ახალი არჩევნები ნაცვლად ბ. ზდანოვიჩისა.

◆ ტფილისიდან დაბრუნდა ქალაქის მოურავი **ი. შ. ჩიქოვანი**.

◆ **ნამესტნიკის კანცელარიიდგან** მოწერილობა მოუვიდა ქალაქის გამგეობას არა უგვიანეს მომავალი სექტემბრის ნრიცხვსა წარუდგინოს მას ცნობები ქალაქის გამგეობის წევრთა, საბჭოს ხმოსანებისა და ქალაქის თვითმართველობის სხვა დასხვა დაწესებულების მოსამსახურეთა შესახებ.

(„კოლხიდა“)

◆ **ჯარში გასაწვევთა რაოდენობა**. სამხედრო ბეგრის მოსახდელად წელს გამოწვეულ იქნება ქუთაისის გუბერნიას, ბათომისა და სოხუმის ოლქიდან 7684 კაცი; ამ რიცხვიდან გაიყვანენ 3737 კაცს. გამოსაწვევთა რიცხვი ამნაირად ნაწილდება: ქუთაისის მაზრიდან გაწვეულია 1815 კაცი, გაიყვანენ—884 კაცს; შორაპნის მაზრიდან გამოწვეულია 1371 გაიყვანენ—666 ზუგდიდის მაზრიდან—902, გაიყვანენ—439, სენაკის მაზრიდან—1101, გაიყვანენ—537; რაჭის მაზრიდან გამოწვეულია 693, გაიყვანენ—337; ლეჩხუმის მაზრიდან 384, გაიყვანენ—186, ოზურგეთის სამხედრო საკრებულოში ოზურგეთის მაზრიდან გამოწვეულია 978 კაცი, გაიყვანენ—477, ართვინში, გამ. 59, გაიყვანენ—28; ბათომის ოლქში გამოწვ. 90, გაიყვანენ—43. სოხუმის ოლქში გამოწვეულია 291 გაიყვანენ—140 კაცს.

◆ **უსაფუძვლო შფოთი**. 20 აგვისტოს, ღამის სამ საათზე, ქუთაისის სასამართლოს დაბლა სართულში მძინარე მეკარეს მესამე სართულიდან ხმაურობა მოესმა, აიღო რევოლვერი, ზევით ავიდა და ნახა, რომ ერთი კურიერი სისხლით გასვრილი იატაკზე გდია. შეშინებულმა მეკარემ გამოაღვიძა უფროსი კურიერი, მერმე ზედამხედველი. ამან გამოიწვია პოლიცია და შენობას ალყა შემოარტყეს. როდესაც გასისხლიანებული კურიერი გრძნობაზე მოიყვანეს აღმოჩნდა, რომ გულყრა მოსვლია და დაცემის დროს ცხვირი გაუტეხია. ზედამხედველს კი ჰგონია დაჭრილიო და ყვიროდა: „ეს სულ ქართველების საქმეა.“

ბათომი

◆ **კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია** სთხოვს ქალაქის გამგეობას ცნობები მიაწოდოს იმის შესახებ, თუ რა ცვლილება მოხდა ქალაქის გამგეობაში, რადგან კანცელარიისთვის საჭიროა ეს ცნობები 1912 წლის კალენდარში მოსათავსებლად.

◆ **ბათომის სამხედრო გუბერნატორმა** მიიღო ცირკულიარი სასულიერო საქმეთა დეპარტამენტისაგან, სადაც ნათქვამია, რომ კათოლიკეთა ეკლესიების და ტაძრების შეკეთებისთვის, ან დანგრეულის მაგიერ ახალის აშენებისათვის, მთავრობის ნებართვაა საჭირო.

◆ **ბათუმის გამგეობის წევრს**, ბ-ნ ე. მ. კრინცკის ებოძა წმიდა ანნას მესამე ხარისხის ჯვარი და საორდენო ნიშანი..

◆ სანიტარულ წესების დარღვევისთვის სამართალში მისცეს: დიმიტრი ნაკაშიძე, სარიდონ ქელიძე, ბესარიონ გიგინეიშვილი, სიმონ კეღურიძე, პავლე თორაძე, ა. ქვენთელია, ბ. გიგინეიშვილი, ექ. ჩალაძე და ს. სალიზოვი. („ბათ. გაზ“).

გორი

◆ ვორონცოვის პარკში 15—16 წლის მოკლული ბიჭის გვამი იპოვეს, რომელიც სოფ. კოტოლიას (ახალციხის მაზრ.) მცხოვრები ილიკო მეტრეველი აღმოჩნდა.

ბორჯომი

◆ **მეფის წყლების პარკში**, ალექსანდრე აიზენბერგი დასცემია გაგიკ ბარუხიანს, უცემია და ქვით თვალი მძიმედ დაუშავებია.

პროვინცია

◆ **შულავერი** (ბორჩალოს მაზრა). უკვალოდ დაკარგული ანდრია ედილაშვილი „ხუდი ბაკერის“ ტყეში მოკლული ნახეს. მკვლელობა გაძარცვის მიზნით აბრამსა და სარქის ისანბეგოვებს ჩაუდენიათ.

ჟურნალისტის დღიური

42.

პროფესიონალური განათლება.

ძალიან მძიმედ, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ფეხს იკიდებს ჩვენში პროფესიონალური განათლება. დღემდის კლასიკური განათლება სჭარბობდა. დღესაც ქართველ საზოგადოების უმრავლესობა გატაცებულია კლასიკურ და საერთოდ გიმნაზიურ განათლებით, მაგრამ ცხოვრების პირობები, იმედია, ამ სიჯიუტესაც გასტეხავს და განათლების მიმდინარეობას შესცვლის. საჭიროა მხოლოდ, რომ აზრი პროფესიონალური განათლებისა პოპულიარული გახდეს. ეს კი ისე არაფერს შეუძლიან, როგორც თვით საქმეს. ერთი კარგად მოწყობილი სამეურნეო სასწავლებელი ცხად ჰყოფს ყველასთვის, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან სპეციალურ პროფესიონალურ განათლებას. კარგად მოწყობილი სატეხნიკო სასწავლებელი მრავალ მოსწავლეს მიიზიდავს და საერთო განათლებასთან ერთად მისცემს პრაქტიკულად გამოსადეგ ცოდნასაც, რაც ისე არავის ესაჭიროება, როგორც ქართველებს.

საუბედუროდ ეს აზრი ჯერ კიდევ კარგად არა აქვს შეთვისებული ჩვენს საზოგადოებას. პრინციპიალურად, თეორიულად თითქოს ყველას ესმის პროფესიონალურ განათლების მნიშვნელობა, მაგრამ საქმის განხორციელების დროს ყველას ყოყმანი და გაუბედაობა ემჩნევა. ერთის მხრით ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ მშობლები უმეტეს შემთხვევაში თავიანთ სულიერ განწყობილებითა და სურვილებით გავლენას ახდენენ იმათზე, ვისაც შეუძლიან საქმეს ესა თუ ის მიმართულება მისცეს.

აი ეხლაც, ჩვენ წინ საგულისხმიერო სურათი იშლება. რამდენიმე წელიწადია არსებობს საზოგადოება „განათლების“ სკოლა. პროფესიონალურ ცოდნას ამ სკოლაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ იგი მაინც დამთავრებული პროფესიონალური სასწავლებელი არ არის. საქმის მესვეურთ აზრადა აქვთ კლასების გახსნით თანდათან სკოლა გააფართოვონ. რადგანაც პროფესიონალურ ცოდნას ამ სკოლაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, არ შეიძლება არ დაიბადოს საკითხი მის დამთავრებულ ტიპის პროფესიონალურ სასწავლებლად გადაკეთების შესახებ. მოწინააღმდეგენი აქაც იქნებიან. ეს მოწინააღმდეგენი, რა თქმა უნდა, ეცდებიან თავიანთი გაიყვანონ და ეს, კერძო ინიციატივით დაარსებული სასწავლებელი, ჩვეულებრივ გიმნაზიად გადააქციონ. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა თავს დააღწევს ტრადიციულ აზროვნებას, ისარგებლებს შემთხვევით და საფუძველს ჩაუყრის ისეთს სასწავლებელს, რომელიც, ჯერ ერთი, სამაგალითო სასწავლებლად გადაიქცევა სხვებისთვის და ამ რიგად პიონერის როლს შეასრულებს და, მეორეც, პრაქტიკულ ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას მისცემს ღარიბ ქართველთა შვილებს. ტრადიციული აზროვნება და ჩვენი ღარიბი ერის მშობლების ნამდვილ საჭიროებათა გათვალისწინება,—აი ის სცილა და ხარიბდა, რომელიც უნდა გაიარონ ზემოხსენებულ სკოლის მესვეურებმა. მათს გამჭრიახობაზეა დამოკიდებული მომავალი ამ სკოლისა, და ჩვენც ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ეს გამჭრიახობა სწორს გზას აარჩევინებს...

შანაური.

ქუთაისის ამ-ბავი

გაიძევეს დეკანოზი ერ. კანდელაკი, რომელმაც ამხილა დამსახურებული მასწავლებელი იურკევსკი, რომ იგი არა თუ როგორც მასწავლებელი არ შეეფერება თავის მაღალ დანიშნულებას, არამედ მოსწავლეებს ისეთი აზრი შეუდგინათ მის შესახებ, რომ ფულებსა ჰკრეფავენ ერთმანეთში რუსული ენის თემის წინდაწინვე გასაგებად თავისი მასწავლებლების მოსასყიდად. ამ დღეებში დეკანოზი კანდელაკი მიემგზავრება ბაქოს, საცა ის გადაიყვანეს გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებლად და იურკევსკი კი ემზადება იმ მოსწავლეთა გამოსაცდელად, რომელთაც გულახდილად სთქვეს ფულები შევაგროვეთო მის მოსასყიდადაო. თუმცა გახმაურებული მოსყიდვის განზრახვის წინააღმდეგ გიმნაზიის ადმინისტრაციას ზომები მიუღია და გარდა სიტყვიერების მასწავლებლებისა კომისიაში დირექტორი და ინსპექტორი იღებენ მონაწილეობას, მაგრამ მკითხველი თითონ წარმოიდგენს, რა გულით მივლენ გამოსაცდელად ახალგაზდანი, როცა კომისიაში თავის მტერმოყვარე მასწავლებელს დაინახავენ. მაგრამ ჩვენ რას გავაწყობთ, როცა სამოსწავლო მთავრობამ უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრებით იურკევსკი დაგვიტოვა, ალბად მოსწავლეთა და მათი მშობლების სულგრძელობის გამოსაცდელად, ესეც პედაგოგიური ზომაა, მაშ რა ჯანდაბა!

⁂

დეკანოზ კანდელაკს თავი ბაქოსაკენ უკრეს, მაგრამ მოსალოდნელი იყო, მის ადგილს დაიჭერდა გიმნაზიაში ერთ-ერთი ქართველი მღვდელთაგანი, რომელთა შორის, ეჭვი არ არის, ბევრი აღმოჩნდება სამღვთოსჯულის მასწავლებლის ადგილის მსურველი. სამოსწავლო ოლქი ამის თაობაზე უთუოდ სხვა აზრისაა, რადგან მან კანდელაკის ადგილას მთელ საქართველოში ვერ მოსძებნა შესაფერი „მღვდელი“ და ციმბირიდან მოიწვია. ამნაირივე საქმე მოხდა ქუთაისის გიმნაზიაში, როცა 4—5 წლის წინად გარდაიცვალა მოსამზადებელ კლასების სამღვთო სჯულის მასწავლებელი ქართველი. ჯერ გარდაცვლილი მღვდელი დამარხულიც არ იყო, რომ მისი ადგილი მიაჩეჩეს ყაზახის პოლკის მღვდელ დობროვოლსკის, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ქართველთა შვილები პირველად სკოლაში შესულნი რუს მოძღვარის სწავლას უფრო ადვილად შეითვისებდენ, ვიდრე ქართველისასაო.

⁂

დგება ენკენისთვე და დაიწყება ნამდვილი ქრისტეს ტირილი ბავშვებისა და მათი მშობლებისა. ერთ თავისუფალ ადგილზე ხუთი და ათი მსურველი მივა, ეჭვი არ არის ყველა ადგილს ვერ იშოვის. ასეთი ამბავი ხდება ყოველ წლივ ქუთაისში. პატარ-პატარა დაბა—ქალაქებში გიმნაზიების დაარსებას, გვეგონა, შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ ქუთაისს იმდენი მოსწავლე არ მოაწყდებოდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენს საზოგადოებას კლასიკური სწავლის მიღების სურვილი იმდენად აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ მას ვერაფერი შეაჩერებს. სხვაზე მეტი ჭაპანწყვეტა მოელით ქართული გიმნაზიის მოსწავლეთ, რომელთაც ქუთაისში მოსვლისათანავე მეტად უსიამოვნო ამბავი დახვდებათ გიმნაზიურ კლასებში მოსწავლეთ შარშანდელთან შედარებით 20 მანეთით ზედ-მეტი უნდა გადაიხადონ და მოსამზადებელ კლასების მოწაფეებმა—ერთი თუმანი. ამ ფულის გადახდა იმდენად ძნელი იქნება უმრავლესობისათვის, რომ ბევრი იძულებული გახდება, სწავლას თავი მიანებოს..

ამას თქვენი პირი წაუღია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისეთი კაცი ან დაწესებულება არ არის, რომ ქართულ გიმნაზიის სვე-ბედისთვის იზრუნოს და ფინანსთა მინისტრი დაარწმუნოს, რომ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირი დანიშნულება ახალგაზდობის აღზრდაა და კერძოდ ქართული გიმნაზიის შენახვა და თუ ეს მიზანიც ვეღარ შესრულდა, მაშინ ბანკის არსებობასაც მნიშვნელობა ეკარგებაო. არსებობს გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტი, სადაც თავმჯდომარეობს გუბერნიის მარშალი, მაგრამ ამ დალოცვილებმა იმდენი ვერ მოიტანეს, რომ პეტერბურგში წასულიყვნენ და საქმე მოეწესრიგებინათ, მით უმეტეს ბანკის მდგომარეობას, წინა-წლებთან შედარებით, განკარგება ეტყობა, და 20—30 ათასი მანეთის გაცემა ძირს არ გაუთხრიდა ბანკის კეთილდღეობას.

გვანუგეშებენ, რომ ენკენისთვის პირველ რიცხვებში გუბერნიის მარშლის არჩევნები მოხდებაო და არჩეული კაცი შეეცდება გიმნაზიის მდგომარეობის განკარგებას ნივთიერადაო. ღმერთმა ინებოს, მაგრამ ვინ იცის რომელის დაამტკიცებენ ისა, ან იქნება ახლაც გვითხრან თქვენი არჩეული კაცი არ მოგვწონს და სხვა აირჩიეთო.

ქ. ე. ქ.

სამეურნეო კურსები ს. კულაშში

დიდის ხალისით მივეშურებოდი ს. კულაშში (ქუთაისის მაზრა), სამეურნეო კურსებზე დასასწრებლად, რომელიც უნდა გამართულიყო კულაშის საცდელ მინდორთან. ჩემი სურვილი იყო: ძველი ცოდნის განახლება, ახალის შეძენა და ამხანაგების ნახვა, ახლების გაცნობა. კურსები 16-ს მარიობისთვეს უნდა დაწყებულიყო, მე კი საღამოს მოვედი, რასაც ძალიან ვწუხდი და დიდის მოკრძალებით ვიხდიდი ბოდიშს დაგვიანებისათვის, მაგრამ ჩემი წუხილი უადგილო შეიქმნა, აღარც ბოდიში შეიქმნა საჭირო, რადგანაც ლექციების კითხვა ჯერ არ დაწყებულიყო, უცდიდნენ დანარჩენებს, რადგან მსმენელი ცოტა გამოცხადებულიყო. სულ თავი მოიყარა 40—50 სულმა, რომლიდგანაც ადგილობრივი სოფლელნი 20—30 იყო, მასწავლებლები კი მხოლოდ 20, მასწავლებლებიდგან 2 მღვდელი, 4—სკოლის ზედამხედველი, 11—ვაჟი მასწავლებელი და 3—ქალი. ლექციების კითხვა დაიწყო 17-ს. ზოგიერთ შორიდგან მოსულ მასწავლებლის მოთხოვნილობით 18-დგან ლექციების კითხვას მოუხშირეს და 19-ს კიდევაც დაასრულეს, თუმცა 20-ს უნდა გათავებულიყო, ეს უკანასკნელი დღე საექსკურსიოდ გადადვეს, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანეს დიდი ავდრების გამო.

წაკითხულ იქნა 12 მოკლე ლექცია, რომლიდგანაც: ი. ქუთათელაძემ წაიკითხა 3: მეაბრეშუმეობაზე, სიუთის მოყვანაზე და კოოპერაციებზე; გ. გაწაძემ—4: სიმინდზე, მეღვინეობაზე, მებოსტნეობაზე და ბამბაზე; ნაკაშიძემ—2: მევენახეობაზე და მებაღეობაზე, გამხარაშვილმა—2: აგრონომიაზე, ტიმოფეევმა—1: კულტურულ მცენარეებზე, ეს უკანასკნელი სამი ლექცია რუსულს ენაზე წაიკითხეს, დანარჩენები კი ქართულად.

ზემო აღნიშნულმა ლექციებმა ბევრი რამ ახალი შეგვძინა, ლექციებზე ნაკლები არ შეგვძინა საცდელ მინდვრის დათვალიერებამ. უფრო მეტს შევიძენდით, რომ მსმენელები ერთი მეორეში არ ყოფილიყვნენ არეულნი: ნასწავლი და უსწავლი, ხშირად იმისთანა რამეებზე გვებაასებოდნენ, რომელნიც ერთისთვის რომ უსაჭიროესი იყო მეორესთვის ზედმეტი, ერთისთვის რომ გასაგები, მეორესთვის—მიუწდომელი. მართალია სოფლის მასწავლებელი უმაღლესი სწავლა-განათლებით არ არის აღჭურვილი, მაგრამ არც ისე უვიცია, რომ გაუნათლებელ, უსწავლელ ხალხში [illegible], როცა ის ცოდნის შეძენას მიისწრაფვის. საჭირო იყო ჯერ მათი ცოდნა გაეთვალისწინებინათ და ლექციების კითხვას ისე შესდგომოდნენ. ყველა ლექტორებზე ეს არ ითქმის.

დასასრულ არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო ცოტა რამ დირექციას, რომელმაც თავისი მასწავლებელი გაგზავნა კურსებზე. საჭირო იყო შეეტყობინებინა ყველასათვის: პროგრამა კურსებისა, ვინ კითხულობდა ლექციებს, რა დაუჯდებოდა თვითეულს კურსებზე დასწრება, რამდენს დაეხმარებოდა თვითეულს და რა საჭირო ნივთების წაღება იყო საჭირო თვითეულ მსმენელისათვის.

პროგრამის ცოდნა და ლექტორების გვარი, ჩემის ფიქრით, მეტ მსმენელს მოიზიდავდა, ეხლა კი ბევრი სინანულს გამოსთქვამს—ასე არ გვეგონაო, ხარჯის მხრითაც ძალიან იოლად გამოვედით, ბევრს კი ეგონა გაცილებით მეტი დაგვეხარჯებოდა და ის კი არ იცოდა, დირექცია რა დახმარებას გაგვიწევდა, თუმცა ყრუდ გვპირდებოდა ცოტა რამ დახმარებას.

ქვეყანაზე უნაკლო არაფერია, ამ კურსებსაც ცოტა რამ ნაკლიც რომ ჰქონდეს, მაინც დიდი მადლობის ღირსნი არიან მისი მომწყობნი, სასურველია რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს სხვა და სხვა დარგზე ცალ-ცალკე და უფრო ვრცლადაც.

თ. ჭყონდიდელი.

ერთი კრების გამო

ივლისის ბოლო რიცხვებში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში მოხდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა პატარა ჯგუფის შემთხვევითი კრება. კრებას დაესწრო სულ ოცდა ორი მასწავლებელი, როგორც სამინისტრო,- ისე სამრევლო სკოლებისა. კრებამ მოისმინა რამოდენიმე მოხსენება საზოგადოდ სახალხო სკოლების მდგომარეობისა. განსაკუთრებითი ყურადღებით მოეპყრო კრება ქართული ენის სწავლების მდგომარეობას სკოლებში. გამოირკვა, რომ სასკოლო მთავრობა ოფიციალურად მაინც და მაინც არ სცდილა სამშობლო ენის ათხმოცდა ერთის წლის პროგრამით სწავლების წინააღმდეგ; და თუ რომელიმე სკოლაში სუსტათ იყო დაყენებული ქართულ ენის სწავლება ან თუ სულ არ ასწავლიდნენ ამ ენას და აგრეთვე პირველი წლიდანვე იწყებდნენ რუსული ენის სწავლებას, ეს მხოლოდ ამ სკოლის მასწავლებლების დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს და მეტად არაფრად. კრებაზე კიდევაც დაასახელეს ზოგიერთი ასეთი მასწავლებელი, რომლის სახელისა და გვარის გამოცხადებას ჩვენ ამ ჟამად მოვერიდებით სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო.

ქართულ ენის სწავლების წინააღმდეგ და რუსული ენის სასარგებლოდ უფრო მედგარ ბრძოლას ეწეოდა თურმე, როგორც გამოირკვა, სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი მაჟნიკოვი. კრებამ ერთხმად აღიარა, რომ უკანასკნელნი სამოსწავლო განკარგულებისა და 81 წლის პროგრამის ძალით სამოსწავლო უწყებას არავითარი უფლება აქვს ოფიციალურათ დაავალოს მასწავლებელს ქართულ ენის შესუსტება და მის მაგიერ პირველ წლიდანვე რუსული ენის გაბატონება სკოლაში. მათ შეუძლიანთ მხოლოდ და მხოლოდ ჩუმად და ჩაფურჩულებით იმოქმედონ ზოგიერთ სუსტი ხასიათის მასწავლებლებზე, ამ შემთხვევისათვის კრებამ დაადგინა—ყოველი მასწავლებელი ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს თავიანთ ამხანაგებს და თუ ასეთ რამეს შენიშნავენ, დროზე ამხილონ ისინი, და თან შეძლების დაგვარად გაზეთის ფურცლებზეც აღნიშნონ მათი საქციელი და ვინაობა.

კრებამ იქონია მსჯელობა სხვა

და სხვა საგნების სახელმძღვანელოების შესახებ და თან მოიწონა ზოგიერთ მასწავლებლების აზრი ხატვისა და წერის გაკვეთილების თაობაზე. კრებამ მიიღო წინადადება გაეცნონ უკანასკნელად სკოლებში საუმჯობესოდ ცნობილ ხატვის ამერიკულ მეთოდს. ქართული ენის სახელმძღვანელოდ კრებამ დასტოვა უმთავრესად ისევ „ბუნების კარი" და „დედა ენა" 1—2 ნაწილი, მხოლოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ პატივცემულ პედაგოგს და ავტორს ამ წიგნებისას ხშირად ისეთი უმნიშვნელო ცვლილებები შეაქვს ბუნების კარში, რაც თვითონ სახელმძღვანელოს იმდენად არ აუმჯობესებს, რამდენადაც ამით ზარალს აძლევს ხელ-მოკლე მოსწავლეებს და ხელს უშლის მასწავლებელს.

კრებამ მიიღო წინადადება, რომ მასწავლებლებმა შეიძინონ და გაეცნონ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან ბოლონდელ გამოცემულ პროგრამას, სადაც, სხვათა შორის, ნაჩვენებია სხვა და სხვა საუკეთესო სახელმძღვანელოები ყველა საგნებისა.

დასასრულ კრებამ იქონია მსჯელობა ჟურნალ „განათლების" შესახებ. ზოგიერთ მასწავლებლების ამ საგანზე მოკლე მოხსენების შემდეგ, მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: ჟურნალი „განათლება", როგორც ერთად-ერთი ქართული გამოცემა, ღირსია მასწავლებლების ყურადღებისა; უკანასკნელნი ვალდებულად რაცხვენ თავიანთ თავს პირადი დაკვეთით, გავრცელებით და შეძლების დაგვარად მასალის მოწოდებითაც ხელი შეუწყონ მის არსებობისა და წინ-სვლის საქმეს.

ბევრი სხვა რამეც ფრიად საგულისხმო კითხვები იქნა აღძრული და განხილული ამ კრებაზე, მაგრამ ამჟამად არც ადგილი და არც სხვა პირობები ხელს არ გვიწყობს ყველა ამის აღსაწერად. **რ.**

წერილი მეჯვრისხევიდან

8 თიბათვეს გუბერნატორი გვეწვია. ხალხმა წინადვე დამზადებული რამდენიმე მოთხოვნილება გადასცა. გუბერნატორმაც ნაწილებად დაკმაყოფილება აღუთქვა.

7 აგვისტოს მომრიგებელი მოსამართლე მოვიდა. ხალხი დაიბარა და გამოუცხადა, რაც გუბერნატორს სთხოვეთ, განაჩენით დაადგინეთ, ყველამ ხელი მოაწერეთ და გუბერნატორთან გავგზავნიო.

ხალხმა შემდეგი განაჩენი დაადგინა: 1) გაიხსნას ოთხ-კლასიანი სასწავლებელი მთავრობის ხარჯით; 2) მახლობელ ტყიდან მილებით წყარო გამოიყვანონ; 3) გამოწვეული იქნას მიწის მზომელი იმ მიწების სამართლიანად დასაყოფად, რომელიც 3 წლის წინად გლეხებმა (1400 მან. 350 დესეტინა მალიზიის ფულით) ერისთავისაგან შეისყიდეს; 4) გაიხსნას საავადმყოფო და აფთიაქი 1 ექიმით, 2 ფერშლით და ბებიით; 5) გადმოტანილი იქნეს მეჯვრისხევის ნაწილის სასამართლო განყოფილება, რომელიც დღევანდლამდე გორშია; 6) დაწესდეს სახელმწიფო ფოსტის განყოფილება; 7) საბატონო ტყეებიდან სოფელი სახლში საწვავ შეშა-ფიჩხით უფასოდ სარგებლობდეს; 8) მდინარე მეჯუდის ხიდის გაკეთება სამერმისოდ გადაიდოს; 9) დაკეტილ სამკითხველოს თხოვნა წელიწადია მიცემულია ვისთანაც ჯერ არს და ნებართვას ხალხი დღითიდღე ელის.

წელს აქ წარმოადგინეს „ქართველი დედა". ხალხი ბლომად დაესწრო. რაც ხარჯებს 140 მან. შემოსული ფულიდან გადარჩა ბიბლიოთეკას სასარგებლოდ გადასდეს. იმედია ზემოდასახელებულ საკეთილდღეო საქმეების განხორციელებას სხვა სოფლებიც წაბაძავს და მხარში ამოუდგებიან.

7 აგვისტოს აქ ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკისგან განთავისუფლებული, ივანე ალექსის ძე ტატიშვილი, რომელიც პოლიტიკურ საქმისთვის ასტრახანის გუბერნიაში იყო გადასახლებული 1906 წელს მის მოსვლას მთელი ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება—როგორც ნამდვილ პატიოსან ადამიანს ეკადრება.

წელს, მაისში, გაიხსნა წვრილი სესხის ამხანაგობა, მთავრობამ 1500 მან. მისცა თანხად. ასეთი მცირე ძირითადი თანხა 900 კომლისათვის ზღვაში გადავარდნილი წვეთია. გამგეობას ყოველ-დღე აურაცხელი მთხოვნელი ადგია კარზე. გამგეობა ფულის მიცემაზე უარს ეუბნება, რადგან წინად მიღებულ 120 წევრიც ძირითადი თანხით ვერ დაუკმაყოფილებია. საჭიროა ყურადღება მიაქციონ და თანხის გადიდებას შეეცადნენ.

სოფლის მეთაურთ უკვე დაიქირავეს 5 წლით შუა ადგილზე კ. ერისთავის ვეებერთელა ძველი შენობა. აზრად აქვთ ახლად გადააკეთონ და შიგ მოათავსონ: ბანკი, სასოფლო კანცელარია, სასამართლოს განყოფილება, სათეატრო დარბაზი, ფოსტის განყოფილება, საავადმყოფო, აფთიაქი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

საზოგადოების მხრივ დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი ბოქაული ბ. დ. ქარუმიძე, რომლის თაოსნობითაც ხალხმა მეჯვრისხევის მიმავალი გზა და ხიდები გაამშვენიერა.

წელს აქეთ პური, ქერი და სიმინდი შედარებით ნაკლებად მოვიდა. ფასებმა ეხლავე აიწია.

ხილს, როგორც ზაფხულისას, ისე ზამთრისას, ძალიან ახხია. ვაზი ფილოქსერისგან ძირიანად ხმება და, ყურძენიც სცვივა, ფოთოლი მთლად გაჰყვითლებია. მემამულეები ამერიკულ ვაზის დარგვა-მყნობაზე ჯერ ყურსაც არ იბერტყავენ.

მოგზაური გლეხი.

ქვემო ქიზიყი

ძლივს თავი დავახწიეთ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებას, რომელიც რეუმიურით ჩრდილში აჩვენებდა 27°/1 მაგრამ საუბედუროდ, ეს სიცხე ამ თვის 20-ს შავად დააგვირგვინა ძლიერმა ქარმა. მისი სიძლიერე ხეების დიდ-დიდს ტოტებს ამტვრევდა და ზარალიც მიაყენა ვენახებს. მარცვლები და მტევნებიც კი დააყრევინა. ისეც მცირე მოსავალი ყურძნისა უფრო ნაკლები იქნება, თუ ქარისაგან გამშრალს ყურძენს ეხლა მაინც არ ეღირსა წვიმა.

პურის მოსავალი შუათანაა, ე. ი. გლეხს მოუვიდა თავის სამყოფი წლიური სარჩო, და გასასყიდი კი არ ექნება. ესეთივეა მოსავალი თამბაქოსი, თუმცა, სამაგიეროდ, იგი კარგი ფერისა და თვისებისა გამოვიდა სიცხეების მეოხებით.

რაც შეეხება ქიზიყის-კულტურულს მხარეს, ამ ზაფხულს არა ჩვეულებრივმა სასიამოვნო მოვლენამ იჩინა თავი. ქვემო-ქიზიყის ინტელიგენცია სასიამოვნო სენმა იპყრო, და ნეტავი ეს სენი სენად დარჩეს! ეს გახლავთ უანგარო (თუმცა მცირედი გამონაკლისით) მისწრაფება ახალ-გაზდობისა წარმოდგენების ასპარეზზე.

ამნაირი წარმოდგენები ბევრი დაიდგა ს. ქვემო-მაჩხაანში და უფრო ბოდბის-ხევში, სადაც უ.უ. ნაცვლიშვილების თავდარიგით აშენებულია თეატრ-სამკითხველოს შენობა. მაგრამ წარმოდგენის საქმეში უფრო უანგარობა გამოიჩინეს ს. ჯუგაანის სულ ნორჩმა ახალგაზდობამ. თუმცა ნებართვის ასაღებად ბევრი ჯიუტური დაბრკოლება გამოიარა ადგილობრივ მთავრობის მხრივ, რომელმაც ლაჩრად აიგდო წვრილ-ფეხობა და ეჭვის თვალით შეჰხედა მას... მაგრამ მაინც ბოლოს მიჰმართეს ქ. სიღნაღში დროებით მოსულს მსახიობს ი. ქივიძეს, რომ იგი თავდები ყოფილიყოს რაიმე წინააღმდეგობის ჩადენაში. ქივიძემ ყველა ეს იკისრა და ეღირსა ჯუგაანის ახალ-გაზდობას, რომ გაემართათ ამ თვის 14-ს საღამო. სამი პიესა: „კაკო ყაჩაღი", „გაკოტრებული ოჯახი" და „შანტაჟისტები".

წარმოდგენის დასაწყისს ქ. ე. შან-ამ მდაბიო ენით წაიკითხა მოკლე რეფერატი, სადაც გაჰკიცხა მდაბიო ხალხის შეხედულება თეატრზე და აუხსნა მისი სწავლებითი და ზნეობაგაწვრთნითი მნიშვნელობა. თვით წარმოდგენამ სასიამოვნოდ იმოქმედა მაყურებლებზე.

სადაც წადილი და ენერგიაა, იქ კარგად საქმე დაგვირგვინდება, და ესეც მოუხდათ ახალგაზდობას და მიახწიეს თავიანთ ორს მიზანს, როგორც თითონ ამბობდნენ: „ჩვენ გვინდა ჯერ ჩვენი ძალა გამოვცადოთ წარმოდგენის საქმეში და თუ კარგად ვითამაშეთ, მაშინ ხომ სამერმისოდ ხალხს გაკვეთილსაც მივცემთ, თუნდ კიდევაც ვიზარალოთო". კარგი იყო „კაკო ყაჩაღში" ვ. შ-ვილი და ზ. ა-შვილი, „გაკ. ოჯახში" ა. ძ—შვილი და „შანტაჟისტებში" ა. მ-შვილი. მაგრამ უფრო სასიამოვნო იყო წარმოდგენების ბოლო, რომელიც დააგვირგვინეს ჯუგაანის მოსწავლე ბავშვებმა ლექსების გრძნობიერად წარმოთქმით.

აი ასეთი სენი შემოეპარა ზემოხსენებულს სამს სოფელს და ვუსურვებთ სხვებს მათ მიბაძვას!

დამსწრეთაგანი.

ავჭალის აუდიტორია

ავჭალის აუდიტორია, ახლოს სდგას ხალხის სულთან და გულთან. ფასები ავჭალის აუდიტორიაში 25 კაპ. მაღლა არ აწეულა და არც ბილეთები გაყიდულა ხელზე რასაც ხშირი ალაგი აქვს სხვა და სხვა თეატრებში. რაც შეეხება წარმოდგენების მართვას ავჭალის აუდიტორია არასოდეს არ ყოფილა ჩამორჩენილი სხვა თეატრებთან შედარებით, პირიქით, რამდენადაც კი პირობები ხელს უწყობდა იმდენათ პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას, თუ რაიმე ნაკლი აქვს ავჭალის აუდიტორიას ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ თეატრი ნივთიერად ძალიერ, დაქვეითებულია: არა აქვს ხეირიანი დეკორაციები არ აქვს რეკვიზიტა და სხვა, რაც ძლიერ აფერხებს წარმოდგენების რიგიანათ სვლას. აქაური რუსულ-ქართული სექციები თუმცა ძლიერ ცდილობენ რაიმე შეჰმატონ თეატრს, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა. რუსულმა სექციამ უკვე შეაგროვა თავისვე ამხანაგ სცენის მოყვარეებში 6 მანეთი და 40 კაპ. რაც მეტათ მცირე წვლილი არის იარის გასამთელებლად. იქ სადაც ფულია საჭირო საქმეც ფულით უნდა გაკეთდეს სექციები კი ნივთიერად ცუდ პირობებში არიან. ბილეთებიდან შემოსული კაპეიკები ხშირად ხარჯსაც ვერა ჰფარავს. რაც შეეხება დახმარების შესახებ, მიუხედავად მრავლის დაპირებისა, ყურსაც არავინ იბერტყავს და დაპირება დაპირებადვე რჩება. მაგალითად იყო შემთხვევა, რომ მიჰმართეს ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს და სთხოვეს, დაეთმოთ ერთი დღე წარმოდგენის გასამართავად, რათა საშუალება მისცემოდათ დეფიციტების შევსებისა მაგრამ იმათ ცივი უარი შემოუთვალეს. იყო მაგალითი რომ მიმართეს ერთ-ერთ ხმოსანს, თუმცა მან დიდი იმედი მისცა, მაგრამ ეს იმედიც ტყუილი გამოდგა. დახმარება კი აუცილებელია და იმედია გამოჩნდებიან ისეთი გულშემატკივარნი რომელნიც არ დაიშურებენ ღვაწლსა და წვლილს ამ უანგარო საქმისათვის და მით განუსაზღვრელს სამსახურს გაუწევენ როგორც სახალხო აუდიტორიას, აგრედვე ხალხის იმ დაბეჩავებულ ნაწილს, რომელსაც არავითარი სახსარი არა აქვს იაროს სხვა და სხვა თეატრებში გარდა აუდიტორიისა.

სცენის მოყვარე.

ჭიათურის მიდამო და მისი ვითარება

ამ ოციოდე წლის წინად რომ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის მცხოვრები ზემო იმერეთს ასულიყო და ჭიათურის გარშემო მდებარე სოფლები დაევლო, განცვიფრებაში მოვიდოდა ამ სოფლების უნაყოფო, კლდე-გორიან და შედარებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებით; ბედის მაწყევარიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ჩასთვლიდა უბედურად თავის თავს და განგებას მადლობას შესწირავდა ჭიათურის მახლობლად დაბადებისა და მუდმივად ცხოვრების აცილებისთვის... ამავე ადამიანმა, რომ დღეს ჭიათურელების შესახებ შეთხზული ზღაპრული ამბები სრულ ჭეშმარიტებად მიიღოს და ან თვითონ მივიდეს ჭიათურას და ერთს რომელიმე მაღლობიდან მის მიდამოს, მაღაროებით დახვრეტილს და შავიქვის მტვრით გადაშავებულს გადაჰხედოს, პირიქით სულ სხვანაირ სულიერ მდგომარეობას განიცდის და დიდ ბედნიერებად ჩასთვლის ადგილებისა, მესაკუთრედ რომ იყოს.

მაგრამ დიდად შემცდარია ამგვარი მოსაზრება: ჭიათურის ახლო მდებარე სოფლების მკვიდრნი უფრო უბედურნი არიან, ვიდრე ბედნიერნი... ღარიბზე უფრო უბედურია ის ადამიანი, რომელიც მდიდარია, მაგრამ სიმდიდრის ხეირიანად მოხმარება კი არ შეუძლიან. ჭიათურის მიდამოსთანა შავი ქვით მდიდარი ადგილი მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება; მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი მესაკუთრებისა, შესაძლებელია, ამ რამდენიმე ხნის შემდეგ (ზოგი ეხლაც) იმგვარ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ თითქოს მათი საკუთრება არაფერი ყოფილიყოს გარდა ორი-სამი ქცევა მიწის ზედა პირისა.

ამ ბოლო დრომდე შავი ქვის მიწიდან გამოღებას, უმეტეს ნაწილად, წვრილი მრეწველები აწარმოებდნენ. ადგილობრივი მცხოვრები, როგორც გამოუცდელ-გაუნათლებელი, ძალიან მცირე ნაწილს შეადგენდნენ მრეწველებისას. უმეტესი ნაწილი მათგანი მოშორებული იყო ქვის წარმოებას. ისინი იძულებულნი იყვნენ ან წვრილ მრეწველებისთვის დაეთმოთ თავიანთი საკუთრება საწარმოებლად, რაშიაც არც მის მეათედს ღებულობდნენ, რაც მათ აუცილებლად მყოფ გამოცდილ და განათლებულ კაცს შეეძლო, ან და თვითონ მუშაობდნენ, მაგრამ კიდევ გამოუცდელობის მეოხებით მსხვილ მრეწველებიდან დაშორებულნი, საზღაპრო მცირე ფასებში უთმობდნენ თავის ნამუშავარს წვრილ მრეწველებს. ამ ბოლოდროს კი მსხვილმა მრეწველებმა ჩამოაშორეს წვრილი მრეწველები შავი ქვის წარმოებას და თვითონ ჰპირობენ დაისაკუთრონ რაც ჭიათურის მიდამოში შავ-ქვიანი ადგილებია. ამით კი უფრო დიდი განსაცდელი მოელის ადგილობრივ მცხოვრებლებს. ისინი აქამდისაც დიდად მოტყუებულნი იყვნენ, რომ ისე ასრულებდნენ წვრილი მრეწველების მოთხოვნილებებს, როგორც კახელი მევენახეები მატყუარა სირაჯებისას; მაგრამ წვრილ მრეწველებიდან დროგამოშვებით ღებულობდნენ ფულს, რითაც თავს აღწევენ სიმშილით სიკვდილს და უსაჭიროეს მოთხოვნილებებს მაინც იკმაყოფილებდნენ. ახლა კი, თუ მართლა მსხვილმა მრეწველებმა ჩაიგდეს ხელში შავქვიანი ადგილები, ადგილობრივ მცხოვრებლების მდგომარეობა სწორედ საწუხარო შეიქნება. მსხვილი მრეწველები, რასაკვირველია, ღირებულ ფასის მეათედსაც არ მისცემენ მესაკუთრეებს; ამ უბედურებას ზედ ისიც დაერთვის, რომ მესაკუთრეები სულ ერთად მიიღებენ იმ ფულს, რაც მათ ერგებათ; და ერთად ბევრი ფულის ხელში ჩაგდება ხომ სამწუხარო მდგომარეობაში ჩააყენებს გაუნათლებელ, გამოუცდელ და შეუგნებელ ადამიანს! მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი თავის ხვედრ ფულს სამი ოთხი წლის განმავლობაში გააქრობს, რითაც ჭიათურის მიდამოში თითქმის არავითარი ცვლილება მოხდება, გარდა სამიკიტნო დუქნების გამრავლებისა და მივიწყებულ დღესასწაულების ვადახდისა. მაგრამ მიღებულ ფულების დაკარგვა კიდევ არაფერია თუ ბოლოს სიმშილით არ ამოხდათ სული.

სწორედ ამიტომ არიან უბედურები ჭიათურის მიდამოს მცხოვრებლები, რომ შავქვიანი ადგილების მესაკუთრებად გაჩენილან, თორემ აქამდის დიდი ხნის დანახული ექნებოდათ თავის მდგომარეობის უსარგებლობა, ნახევარი მაინც მიატოვებდა აქაურობას და დაეპატრონებოდა იმ მშვენიერ ადგილებს ჩვენი ქვეყნისას, რომლებსაც ცხრამთის იქიდან წამოსულნი ეპატრონებიან.

შავქვიან ადგილების მსხვილ მრეწველების ხელში გადასვლით არა ნაკლებ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდებიან წვრილი მრეწველებიც, რადგანაც მათ ამ დღიდან აღარავითარი დამოკიდებულება ექნებათ შავი ქვის წარმოებასთან.

ყოველივე ეს კარგა ხანია გათვალისწინებული აქვს მრეწველთა საბჭოს. მისი სახელით კიდევაც ურჩევს შარშან ადგილობრივ მცხოვრებთ არავისთვის მიეყიდნათ თავისი უძვირფასესი საკუთრება და არ დასდგომოდენ დაღუპვის გზას, მაგრამ საუბედუროდ, ამ გვარმა დარიგებამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ამის მიზეზად სხვათა შორის ისიც უნდა დავასახელოთ, რომ მცხოვრებლებს დღევანდლამდე კიდევ ვერ შეუგნიათ საბჭოს მოქმედების დიდი მნიშვნელობა და ვერც საბჭოს მოუპოვებია მათ შორის შესაფერისი ნდობა.

არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ მრეწველთა საბჭო არ იჩენს ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის იმდენ მზრუნველობას რამდენიც მას შეუძლიან. რის საყვედურსაც ხშირად შევხვდებით ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ავიღოთ თუნდა სტიპენდიების განაწილება. საბჭოს სტიპენდიების სარგებლობის უფლების შესახებ აი რას ვკითხულობთ წიგნებში: „Стипендіями и пособіями пользуются... дѣти и родственники обоего пола марганцепромышленниковъ, экспортеровъ, служащихъ при конторахъ марганце-промышленниковъ и экспортеровъ, горнорабочихъ... а также дѣти и родственники постороннихъ лицъ (тр. IX и X съѣзд.; прилож. стр. 8). ამ გვარად ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ არაფერი არის ნათქვამი; და თუ მარტოხელაა ის და შავიქვის მუშად ან მრეწველად წასვლა არ შეუძლიან, ისე უნდა მოელოდეს საბჭოდან შემწეობას, როგორც ტრაპიზონში ან ათინაში მცხოვრები ვინმე. უფრო მეტიც; ადგილობრივი მცხოვრები, მრეწველად რომ იყოს იგი, იშვიათად იქონიებს ისეთ იმედს სტიპენდიებით სარგებლობისას, როგორც სხვა ვინმე. ამის მიზეზი სტიპენდიების გამნაწილებელი კომისიის წევრების მოქმედებაა. ხშირად იმგვარი პირები სარგებლობენ სტიპენდიით, რომლებსაც სრულებით არ ესაჭიროებათ ამგვარი დახმარება, რაც უფრო ნათლად საბჭოს თავმჯდომარის შემდეგ სიტყვებიდგან სჩანს... правда, есть стипендіаты, которые въ помощи съѣзда не нуждаются (От. о пр. IX и X съѣзд. стр. 45).

საბჭო ვალდებული იყო და კიდევაც შეეძლო ზოგიერთ სოფლებში მაინც გაეხსნა თავის ხარჯით სამკითხველო; დღეს კი არც ერთ სოფელში არ არსებობს სამკითხველო, თუმცა არიან ისეთი სოფლები, რომლებშიაც სამკითხველოში მოსიარულეთა საკმაო რიცხვი არა დროს გამოილევა.

საკმარისია ბიბლიოთეკის გამგე დღეში სამ — ოთხ საათს მაინც იმყოფებოდეს სამკითხველოში და ამით შეძლებას მისცემს იქ მოსიარულეთ თავისუფლად ისარგებლონ სამკითხველოს წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

იმ ადგილებში, რომლების ქვეშაც მაღაროებია გაყვანილი, თითქმის სუყველა ჭები და წყაროები დაშრა; და თუ წინად ყველას თითქმის თავის ეზოში ჰქონდა წყარო ან ჭა, დღეს თითო ვერსის მანძილზე უხდებათ სიარული წყალის მოსატანად. სასურველი იყო, რომ საბჭოს ამისთანა ადგილებში წყალი მილებით გაეყვანა. **გ.**

საპასუხო ღია წერილი

ბ-ნ რეჟისორს და მსახიობს ვალ. შალიკაშვილს არც სცენის მოყვარეთა წრეში, არც ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში არავითარი გაყოფა არა ყოფილა.

რეჟისორის მოწვევის გამო გამგეობაში აღიძრა კითხვა და დასახელებულ იქნა ორი კანდიდატი. ერთხმად თქვენ იყავით მოწონებული; ხოლო თქვენის და თქვენის მეუღლის მოთხოვნილებას შეხვდა უმცირესობა და ესეც უმრავლესობით მიღებულ იქნა; თანახმად გამგეობისა და თქვენ შორის შემდეგ შეკრულ პირობისა.

დიახ, მართალია, მე მოგეცით წინადადება, მევე დაგითანხმეთ, მევე დაგასახელეთ კანდიდატად.

ისიც მართალია, რომ თქვენის მოწვევით ჭიათურის სცენამ მოიგო, რაშიაც ღრმად დარწმუნებული ვარ, რადგანაც თქვენი მუშაობით ჭიათურის სცენას [illegible] მოეფინება და ეს სინათლე „მნათობის". ს ბ. „რეცენზენტს" სიბნელიდან იხსნის.

დასასრულს, გისურვებთ: მალე შესდგომოდეთ ჭიათურაში მუშაობას და აქაურ საზოგადოების გულს ამით მოიგებთ.

ჭ. ქ. დრ. ს. გამგ. თავმჯდომარე
სოფ. ტარუაშვილი.

ახალი დაბადება

1.

გადავიკითხე ქართული დაბადება ანიდან ჰ-მდე ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესადგენად.

დაბადება უშრეტი ზღვაა: ყველას სწვდება, ყველას ჰყოფნის. ცა და დედამიწა, ზესკნელ-ქვესკნელი, მცირე მოხატულობა და მთელი მსოფლიო, სახელმწიფოებრიობა და სოფლობა, ხუროთმოძღვრება და მიწისმოქმედება, მეზობლობა, ნათესაობა, აღორძინება, ვაჭარობა, დამაბუნება, სიკვდილი და სხ.—ყველა და ყოველივე განხილულია და განმარტებული იმ ღვთიურ და დიდებულ წიგნში, რომელსაც ჰქვიან დაბადება, შექმნა, ყოფნა.

იყო უკუნი, ბნელი გარესკნელი (**кромѣшній**).

ღმერთმან ინება.

ყოველივე მის მიერ შეიქმნა:

თვინიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი რაჲ იქმნა.

მისთანა ცხოვრებაჲ იყო და ცხოვრებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.

და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს, და ბნელი იგი მას ეწია (იოანე თ. 1).

ეს უსაზღვროებით ვრცელი წიგნი ქართულს ენაზედაც არსებობს, სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით მეხუთე-მეექვსე საუკუნიდან. ამიტომაც ქართ. დაბადება იმავე დროს არის უუდიდებულესი ქართული ლექსიკონიც, გარეშე იმ ბარბარიზმებისა, რომელიც შემოერია ჩვენს ენას არაბებისა, თურქ-სელჯუკებისა, მონღოლებისა და ფირდოუსის ხანას მომდევნო სპარსელების შემოსევას შემდეგ. ამგვარ ბარბარიზმებს ჩვენს დაბადებაში ადგილი არა აქვს.

ვერც კი წარმოგვიდგენია, რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ლექსიკონი, თუ ღვაწლით მოსილ ჩვენს მამებს არ ეზრუნათ და დროით არ გადმოეღოთ დაბადება!

დაბადება არა თუ საუნჯეა ენისა, არამედ უტყუარი ნიშანიც იმ ერთა საკმაო წარმატებისა, რომელთა ენაზედაც იგი არსებობს.

ენა უდაბადებოდ იგივეა, რაც მუნჯი უსიტყვოდ.

რადა ღირს თუნდ მარტო დავითნი, ეს მთლიანი გალობა, ღაღადება, ქება, დიდება, გოდება.

ძეწნთა ზედა მუნ დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.

მკითხველს წარმტყვენველნი ჩვენნი გალობასა: „გვიგალობდით ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა".

ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქვეყანასა უცხოსა?!

უკეთუ დავივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეჲცა ჩემი! აექვნ ენათ ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ! სფს. სვნ, 2—61.

თუნდ მეორე—სჯული, რომლიდანაც ამოღებული კანონები შეტანილია ვახტანგ-სჯულმდებელის წიგნში.

ან კიდევ სიბრძნე სოლომონის და სხ. წიგნები, რომელთა თქმულებანი მრავლად გვხვდება ქართ. ზეპირ-სიტყვაობაში.

რაჲცა სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს (გალ. 6,7).

მზე მისი მიეფინის ბოროტთა ზედა და კეთილთა ზედა და აწვიმის მართალთა ზედა და ცრუთა (მათე, 5,45).

სჯობს სტუმრობაჲ მხილითა სიყვარულითა და მდაბლობითა, ვიდრე ზვარაკითა ბაგეთაგან დაკლულთაგან მტერობით (იგ. 15,16).

რომელმან უთხარის მოყვასსა ხნარცვი, იგივე შთავარდეს მას (ხირ. 27.29).

დაბადებაში მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელიც უწინ საერთო ყოფილა და დღეს-ღა იხმარება მხოლოდ ამა და იმ კუთხეში. ამგვარებია, მაგ., ეე (რაჭა—საინგ—ქიზიყი), შიგ (იმერეთი) შინა — შიგა, ჭჯუმა (ფშავ-ხევს), ზოგ—ყოვნა (მეგრ. ჰუნა—-ჰუ. ჰი), სტაბანი (სვან.) ვენახი—ვაზი (მეგრ.),

ერთსახე—ერთცახე (გურ.) კუდა—კუდური (ინგ.) და მრ. სხ.

დაბადება გვაძლევს მასალასაც ქართ. გვარების მნიშვნელობის ასახსნელად. ორიოდე მაგალითი.

მცხვთაძე=ცხვედაძე. მცხვედი (გამოსლ. 9,32). მას უდრის ბერძნ. ოფსიმოს—გვიანი, ნელი. ამავე მნიშვნელობით იხმარება ბერძნულივე სხედინ—ნელა, ფრთხილად, მოფიქრებით, მაგრამ სხედის არის ცქვიტი, სხეთი—დაკავება, დაყენება. ამ ფესვიდანაა „მცხვედი" თუ ქართ. ზმნებამ ცხვება (მცხვედი ნელა კამოსაცხობი), ძნელია თქმა, მხოლოდ ამის აღნიშვნა კი შეგვიძლია, რომ სახელი მცხვედა უკვე გახვდება მერვე საუკუნეშივე: მცხვედა იყო ხანძთის მოღვაწეთაგანი (გრიგ. ხანძთელის ცხ., გვ. 33).

იშხნელი, კაცი იშხანი დამ. ბერძნ. ისხანო იმასვე ნიშნავს, რასაც სხეთო (დაკავება, დაყენება, გვიანება) მაგრამ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ სხვა დროს. ჯერ კი შეადარე ბერძ. ს ქართულს შ: სარაბალლა=შარვალი, სუსა—შუშანი (ერთ. 1,5)—შუშ (ნეემ. 1,1). იშხანი ჩვენს ისტორიაში ჩნდება ადრითგანვე. მერვე საუკუნეში აქ უკვე ბრწყინავდნენ ბაგრატიონები.

ტატიშვილი, ტატიანელი, ტატანელი (ურბნ. სახარ. გადამწერი): ტიტანელი—Титанъ, Рефаимъ (2 მეფ. 5,18 და 23,13): იმავე მნიშვნელობით: ტალიანელი=ტატანელი (№ 51 და № 646) (ივდით 10,6).

სემიდალაშვილი—სამდალაშვილი: ბერძ. სემიდალის—ქართ. სემინდალი (გამოცხ. 18,13)—სამინდალი—სემიდალი—სამინდო (ეზეკ. 16,13; ეს. 1,13, ლევ. 2,2) ბერძნ. „სემიდალის"=სამინდო უკეთესი, 1-ლი ხარისხის ფქვილი, ხორბალი.

თესლითმეტყველაშვილი. სადღაც ლაპარაკში დაცინვად გავიგონეთ: „უიშე თესლითმეტყველაშვილო", ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ვერავინ გვითხრა. თესლითმეტყველობა ყოფილა ცრუობა, სიცრუე. იგი თარგმანია ბერძნულის „სპერმალოგოს" (საქმე 17,18)—თესლის შემკრები, ყბედი, მროშავი.

კაწხიძე—კაწახიძე. კაწახი საინგილოში იგივეა, რაც წენგო, კოწმახი, უმწიფარი ნაყოფი. ეს სიტყვა ნახმარია იერემიას წინასწარმეტყველებაში და უდრის რუსულს терпкій (თ. 31,29): „მამათა ჭამეს კაწახი და კბილნი შვილთანი მოლხვეს".

ოღონდაც რომ ჩვენც მოგვალხვა კბილები: ცულიანი და უცულო მოგვსევია, თითქო ვიყოთ ის ბერლომი, რომელსაც ტურა-მგელი, დათვი კადნიერებით ყურიმლავდნენ.

მაგრამ არ დაბერებულა ერი, რომელსაც აბადია სწორ-უპოვრად თარგმნილი ბიბლია, ერი, რომელსაც მოეპოვება ისეთი სამკაულები, ვით მამათა ცხოვრება, ვეფხისტყაოსანი, გურამიანი, ერი, რომლის ენა ისეთი მდიდარია, რომ როდესაც სხვათა ენაზედ არსებობს მხოლოდ „ბასილევს" და „ბასილია" (მეფე, სამეფო), იქ ჩვენი ენა განავითარებს სიტყვებს მეფე და მეუფე, მეფობა და მეუფობა, სამეფო და სამეუფო, სუფევა და სასუფეველი.

წარდათუწირულვართ, არა განწირულვართ.

მ. ჯანაშვილი.

მოწერილი ამბები

სოფ. ნიგოითი (გურია). შარშან დიდი ჭირნახულის ფასად გაიყიდა; უგარგისი თესლის მიზეზით აბრეშუმის მოსავალიც ნაკლებად იყო. გაზაფხულის გვალვისა და ზაფხულის ავდრების კამით მოსავლის იმედი დაკარგა უთვალ მხრივ გაჭირვებულებს, ახლა მღვდლები მოგვადგნენ კარზე დრამის ფულის ასაკრებად. ვისაც ფული არა აქვს ამწყრალებს და მბოჭავენ

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გადასახლებულთ შემწეობა მოუსვლელ-

„საწინადარი" მიაქვთ—ორ მანეთში 6—7 მანეთად ღირებული ქვაბი, ან სხვა რამ ნივთი მიაქვთ სასოფლო სამართველოში საჯაროდ გასასყიდად.

სულიერი მამები სულიერ შვილების გაჭირვებას გულგრილად უცქერიან. ან კი სადა სცალიანთ, რომელსაც თავისი გაჭირვებაც მოჭარბებული აქვთ. ეს კურთხეული შვილნი შემოსავლები საკურთხეველში „დრამას" თამაშობენ, ერთმანეთსა სტყუებენ, ზვეჯ კი დრამის ფულს გახდევინებენ.

ქერა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აგვისტო.

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. „ნაციონალ ცაიტუნგი" იუწყება მეციდან, რომ შიში დიდია ჯარის ყოველ მოძრაობას მობილიზაციის ხასიათს აძლევენ. საქალაქო შემნახველ კასას ხალხი არტყია და მიბარებული ფული უკანვე გააქვთ.

კელნი. გერმანელ ექიმთა კონგრესის კომისიამ, ქრისტიან ნაციონალისტებმა, მოხელეებმა და სხვ. მოწოდება გამოსცეს. მოწოდებაში სოციალ-დემოკრატებს სამშობლოს მოღალატეებად სთვლიან, რაკი ისინი ომის წინააღმდეგ მიტინგებსა ჰმართავენ და ამბობენ, რომ მათ მდგომარეობით სარგებლობა უნდათ სოციალურ რევოლუციის მოსახდენადო.

კელნი. „კელნიშე ცაიტუნგი" ამბობს, საფრანგეთი საქმეს თამამდის არ მიიყვანს და გერმანიას მაროკოს დაუთმობსო.

შტეტინი ქალაქის კასიდან შენახული ფული გააქვთ. მოხელეები ხალხს არწმუნებენ, ტყუილი შიშიაო, მაგრამ მათ სიტყვას გასავალი არა აქვს.

ბერლინი. გაზ. „პოსტი" იუწყება: გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის წინადადება არ მიიღოო. საქმე გაძნელდა. გაზეთის სააგენტო იუწყება, ეს ამბავი ტყუილიაო.

ვენა. ორი კაცი გახდა ხოლერით ავად.

ბერლინი. პროვინციაში რამდენსამე ადგილას ძლიერი მიწის ძვრა იყო.

ბრიუსელი. ბელგიის სამრეწველო ცენტრებიდან 2000 ყასაბი წავიდა. ესენი საქონლის ბაზარზე გავიდნენ და ყასბებს გაჭრობის შეწყვეტას ურჩევს. ყასაბთა ერთმა ნაწილმა გაჭრობა შესწყვიტა.

რუსეთი.

ვლადივოსტოკი. იაპონიის კრეისერებმა „ნისსინმა" და „კასუგამ" სატრანსპორტო ბაირაღით მოიტანეს გემი „ანგარა".

ოდესა. ზოგიერთ გემების მოსამსახურეებმა სამსახურს თავი დაანებეს. მათ ადგილას სხვები მუშაობენ. მოძრაობა არ შეშლილა.

ჩერნიგოვი. სოფ. ძალიე ოსნიკში (ჩერნიგოვის მაზრა) 93 კომლი დაიწვა. 2 კაცი დაიღუპა.

პეტერბურგი. განათლების მინისტრმა გამოსცა ახალი წესი ნახევარსაკურსო ეგზამენების ჩაბარებისა ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტებზე.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გადასახლებულთ შემწეობა მოუსვლელობის დროს საერთო წესით უნდა აღმოუჩნდეთ.

ვიატკა. ღამე ტემპერატურა 0 გრადუსამდე დავიდა. მოვიდა პირველი თოვლი, მაგრამ მალე გადნა.

ოდესა. გემები გაქირავებულ მუშებს წესიერად დაჭყავთ.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ალაგი დაუთმოთ ამ მცირე შენიშვნას. „სახალხო გაზეთის" 382 ნომერში მოთავსებული იყო ჩემს შესახებ, ვითომ მე ქართულ სცენას თავს ვანებებ და ვაპირებ რუსულ სცენაზე შესვლას. ამ პატარა შენიშვნით მინდა ვაცნობო ქართველ საზოგადოებას, რომ ყველა ეს სიმართლეს მოკლებულია. მართალია რუსეთში მოვდივარ, მაგრამ არა იმიტომ, რომ რუსულ სცენაზე შევიდე, არამედ იმიტომ, რომ შესაფერის ცოდნით აღვიჭურვო და ისე დავუბრუნდე სამშობლო სცენას.

[illegible] აბაშიძე.

„ნაძალადევის" სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა დიდს მადლობას უხდის ყველას, ვინც არ დაიშურა თავიანთი წვლილი და შეძლება მისცა წრეს, დაათავოს თეატრის შენობა

არტ. მალაქოვმა—10 მან. სტამბა „ნადეჟდა"—3, დიმ. ქიტიაშვილმა—1, ტრ. ანტ. კუკულავამ—1, ეფრ. კარნ. ჩერნოივანოვმა—1, და ისაკ. მურადოვმა—1 მ. 50 კ.

წრე მადლობას უხდის აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც უფასოდ მუშაობენ თეატრის შენობის გადასაკეთებლად, გვარები მათი იქნება გამოცხადებული ანგარიშში შენობის დამთავრების შემდეგ.

იმედია, მიმბაძველები ბევრნი აღმოჩნდებიან და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ [illegible] საკეთო საქმისათვის, რადგან წრეს არ ძალუძს ხალხის დაუხმარებლად, თავისი პატარა შეძლებით შეასრულოს ეს დიდი საქმე.

წრის გამგეობის მდივანი

იახონ ფანიაშვილი.

განცხადებანი

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით.** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **სასწავლებლების ხარისხზე, ყველა კლასის ჩასაბარებლად.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—13)

კ რ ე მ ი

„მეტამ .რფოზა"

ამხ.

ა. მ. ოსტროუმოვისა

ხრულებით აშრობს

ჭორფლსა და ნასიცხს

და კანსაც იფარავს, რომ მეორეთ აღარ გამოაჩნდეს.

ვისაც ჭორფლი არა აქვს და უნდა რომ არც გამოაჩნდეს, ვურჩევთ იხმაროს კრემი

„ალბადერმა"

რომლის ნაწილიც შეზავებულია კრემ მეტამორფოზში.

მოითხოვეთ ყველგან

Мецль N 253950 (10—1382—9)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირის გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაზანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ბ. ი. ბურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ ექ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. ბეჟანბაბ-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—117)

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისათვის მას დამზადებული აქვს ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებს, წიგნთ-საცავებსა და საზოგადო დაწესებულებებს ყველა წიგნზე დაეთმობა 10 პროც. (ყდისთვის გადაჰხდებათ ერთი შაური).

სოფლის მასწავლებლებს განსაკუთრებული დათმობა ექნებათ.

საკანცელარიო მაღაზია ოცხელებისა

დ. და კ.

მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით,

აცხადებს, რომ მას დამზადებული აქვს დიდძალი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი: რვეულები, დღიურები (საკუთარი გამოცემისა), ჩანთები, საზღვარგარეთიდან მიღებული ბლოკნოტები პურის კალმები და ფაბერის კარანდაშები, სამხატვრო ქაღალდები და საღებავები, უბის წიგნები, საუკეთესო პორტფელები, ანგარიშ. წიგნები, ბიუვარები და მრავალი სხ.

ფასები მეტად დაკლებულია. (10—1447—6)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.
" "	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 30 კ.
Baton-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
შ. ყიფიანისა:	«სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

საბუღალტერო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.

ნიკოლოზის ქ. N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს.

სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.1)

ახალი წიგნი

გრ. ხერხეულიძის

„პირველი სხივი"

(ლ ე ქ ს ე ბ ი).

იყიდება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში.

ფასი 10 კ. (6—777—5)

ე. ა. ცატუროვის დეპოში

ფაიფური

მიღებულია დიდ-ძალი

ახალ-სახიანი

შპალიერი

მცირე ფასებიდან მოკიდებული.

ბითუმად მყიდველთ საქარხნო პირობებით;

ე თ მ ო ბ ა თ.

ტფილისი, სასახლის ქუჩა.

(10—1401—10)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 6, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

გირ. უდავებკოთ 25 კაპ.

მიგიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(წ—1053—)

საქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

პარიზი 1900 წ. ოქროს მედლები მაკარია 1896 წ.

გლიცერინი ველური,

საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭამელისა, სახის სიმჭარხლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის" საზოგადოება თხოულობს, რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება, მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია",

და ნიშანს საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი „იმპერატორ პეტრე დიდისა", ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.

ХИМИЧЕСКАЯ С.ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1296—5)

გაფრთხილება

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩაჩანებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელის** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება

„სპერმინ-პელა" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უქმვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისა** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. **профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.**

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

ავადმყოფებს

(Метцль и К-о. № 54437). (12—1261—12)

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**